ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №35

19.10.2023 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე), ვლადიმერ ბოჟაძე, ლევან ჯაფარიძე, ნინო ვარდოსანიძე, ლევან აბაშიძე, ალექსანდრე ხუჯაძე, სალომე კობალაძე, ვახტანგ სურგულაძე, ლევან ჟორჟოლიანი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმარი:

1. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. **ქეთევან კანდელაკიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
3. **მარიამ მაკარიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 26 სექტემბრის №12-032326875-03 წერილი)

/მომხსენებელი: **ქეთევან კანდელაკიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის

უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 28 სექტემბრის №12-032327184-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 5 ოქტომბრის №12-032327831-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 6 ოქტომბრის №12-032327920-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

5. მიმდინარე საკითხები:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 18 ოქტომბრის N12-0323291128-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 18 ოქტომბრის N11-0323291142-03 წერილი)

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 26 სექტემბრის №12-032326875-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქეთევან კანდელაკიშვილმა.

მომხსენებლის (ქ. კანდელაკიშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის (შემდგომში - სამსახურის), მათ შორის, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების - განყოფილებების ფუნქციები. აღნიშნული დებულების თანახმად, მწვანე ლანდშაფტის დაცვის უზრუნველყოფა, ლანდშაფტის დიზაინის დამუშავება და არქიტექტურული პროექტების განხორციელება მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების განყოფილების ფუნქციებს მიეკუთვნება, სწორედ ამიტომ, პარკებსა და სკვერებში, სხვადასხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიერ, ღონისძიებების გამართვის თაობაზე წინასწარ წერილობით გაფრთხილებას იღებს და შესაბამის რეაგირებას ახორციელებს ზემოაღნიშნული განყოფილება.

იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიების თაობაზე წინასწარი გაფრთხილების მიღება და შემდგომ მისი შეთანხმება დარეგულირებულია მხოლოდ სამსახურის პრაქტიკით და იგი არ არის დებულებაში ასახული, საჭირო გახდა აღნიშნული ფუნქციის სამართლებრივი ნორმით დარეგულირება.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა, შენიშვნები და განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი საკითხი:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 26 სექტემბრის **№12-03236975-03** წერილით წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 26 სექტემბრის **№12-03236975-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-11 დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 28 სექტემბრის №12-032327184-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის №23.1453.1629 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №0123249123-67; №01232551537-67; №01232581345-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№0123249123-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის VII ჩიხი, №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო

კოდი: №01.72.14.022.235) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით(სზ-1) ცვლილება.

№01.72.14.022.235 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საკუთრებაში ხარვეზის სახით გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 19 სექტემბრის №0123262318 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მისასვლელ გზას მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისათვის.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, №01.72.14.022.235 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქი თბილისში, სოფელ დიღომში, დავით აღმაშენებლის VII ჩიხი №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.022.235) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01232551537-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ზაჰესში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.12.102.003) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 19 სექტემბრის №01232622992 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზაჰესში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.12.102.003) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01232581345-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის III ჩიხში, №11-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.609) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. უჩანეიშვილის III ჩიხი №11-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის №01.14.08.001.609 პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 22 სექტემბრის №01232652130 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის III ჩიხში, №11-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.001.609) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №72.16.18.830,

№72.16.18.972, №72.16.18.973; №72.16.18.974; №72.16.18.312; №72.16.18.139; №72.16.18.138; №72.16.18.137; №72.16.18.786; №72.16.18.457; №72.16.18.456; №72.16.18.843; №01.72.58.048.003) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ისა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება, ასევე, რეგისტრაციების ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

№72.16.18.830, №72.16.18.972, №72.16.18.973; №72.16.18.974; №72.16.18.312; №72.16.18.139; №72.16.18.138; №72.16.18.137; №72.16.18.786; №72.16.18.457; №72.16.18.456; №72.16.18.843; №01.72.58.048.003 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, - რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით მოქცეულია თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, - აუცილებელია ვრცელდებოდეს რომელიმე ფუნქციური ზონა, რათა მესაკუთრის კანონიერი უფლებები იქნას დაცული.

ამდენად, საპროექტო ტერიტორიაზე შესაბამისი სამსახურების პოზიციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება მიმდებარედ არსებული ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1), ხოლო, ფაქტობრივად არსებულ გრუნტის გზაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 სექტემბრის №18-0123270852 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების ფენა.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 25 სექტემბრის №16-0123268963 წერილის მიხედვით, აღნიშნული ცვლილებით მოხდება ფუნქციური ზონირების შესაბამისობაში მოყვანა ფაქტობრივ მდგომარეობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №72.16.18.830, №72.16.18.972, №72.16.18.973; №72.16.18.974; №72.16.18.312; №72.16.18.139; №72.16.18.138; №72.16.18.137; №72.16.18.786; №72.16.18.457; №72.16.18.456; №72.16.18.843; №01.72.58.048.003) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ისა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება, ასევე, რეგისტრაციების ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 28 სექტემბრის №12-032327184-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №0123249123-67; №01232551537-67; №01232581345-67 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 5 ოქტომბრის №12-032327831-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ოქტომბრის №23.1507.1667 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №0123362386-67; №01232691047-67; №01232231013-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№0123362386-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მთაწმინდის პარკისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.016.021) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

№01.15.07.016.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 27 სექტემბრის №012327074 წერილით თანახმაა, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ ტერიტორიებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.15.07.001.023; №01.15.07.016.024 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მთაწმინდის პარკისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.07.016.021), ასევე, №01.15.07.001.023 და №01.15.07.016.024 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01232691047-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.022.001) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№01.10.06.022.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სრულყოფილი სატრანსპორტო კავშირის მიღება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 28 სექტემბრის №01232712973 წერილის შესაბამისად, თბილისის მერიის ერთიანი რუკის მონაცემების თანახმად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს გრუნტის გზას და ფაქტობრივად გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

ამასთან, სრულყოფილი, გამჭოლი ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.10.06.001.186 საკადასტრო ერთეულზე, ასევე, №01.10.06.001.184 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.022.001), აგრეთვე, №01.10.06.001.186 საკადასტრო ერთეულზე, ასევე, №01.10.06.001.184 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2), სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01232231013-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლება, V მიკრორაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.013.335) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

№01.11.10.013.335 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 11 აგვისტოს №01232232024 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 27 სექტემბრის №61-01232701070 წერილის მიხედვით, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 22 სექტემბრის №5006139423 დასკვნის საფუძველზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა არ ახდენს გავლენას მიწის ნაკვეთის ღირებულებაზე, შესაბამისად სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.013.335) განხორციელდეს შიდაკვარტალური (ურბანული) ფენის მოხსნა, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.11.10.013.034, №01.11.10.013.096 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლება, V მიკრორაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.013.335), ასევე, №01.11.10.013.034 და №01.11.10.013.096 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ სურგულაძე, სალომე კობალაძე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 5 ოქტომბრის **№12-032327831-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №0123362386-67; №01232691047-67; №01232231013-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 6 ოქტომბრის №12-032327920-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 5 ოქტომბრის №23.1524.1675 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01232701772-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი - **№01232701772-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №01.14.16.008.073) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, ,,ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №01.14.16.008.073) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს №387 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

წარმოდგენილი სახით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოიქნება ხარვეზები. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა, №01.14.16.008.127 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) დაზუსტება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №01.14.16.008.073) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, №01.14.16.008.127 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) დაზუსტება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ სურგულაძე, სალომე კობალაძე)

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 6 ოქტომბრის **№12-032327920-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01232701772-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხები:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 18 ოქტომბრის N12-0323291128-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 18 ოქტომბრის N12-0323291128-03 წერილი) წარმოადგინა მომხსენებელმა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის №23.1550.1753 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 15 წინადადება - №01232763851-67; №012327099-67; №01232704019-67; №01232581197-67; №01232511413-67; №01232371670-67; №01232823519-67; №01232632662-67;

№01232793639-67; №01232823695-67; №01232612478-67; №0123265917-67; №01232552739-67; №01232892416-67; №01232682024-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01232763851-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №140/№140ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.138; №01.17.11.027.137) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

№01.17.11.027.138 და №01.17.11.027.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 4 ოქტომბრის №0123277965 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით №01.17.11.027.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.17.11.027.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე გავრცელებული გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა იხსნება სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №140/№140ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.138; №01.17.11.027.137), ასევე, №01.17.11.027.094 საკადასტრო ერთეულზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№012327099-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა №11-ში და №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:

№01.18.06.012.039; №01.18.06.012.038) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

№01.18.06.012.039 და №01.18.06.012.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს, შემდგომში, ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 28 სექტემბრის №01232713098 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

საპროექტო მიწის ნაკვეთების მცირე ნაწილზე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით, ვრცელდება სატყეო ზონა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, აღნიშნული სატყეო ზონა საპროექტო ტერიტორიაზე რჩება ხარვეზის სახით. ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.18.06.012.039 და №01.18.06.012.038 საკადასტრო ერთეულებზე იხსნება არსებული სატყეო ზონის ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა №11-ში და №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.012.039; №01.18.06.012.038) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ სურგულაძე, სალომე კობალაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01232704019-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩა №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.028.118) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა-1-ით (ს-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 28 სექტემბრის №01232712460 წერილით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, მოთხოვნის შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) პარამეტრის (სიგანე) შემცირება, სამომავლოდ,

უარყოფითად არ აისახება განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

ასევე, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა (№16-01232192764; 07.08.2023წ.), რომლის მიხედვით, საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყობა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების მიღმა. სატრანსპორტო ქვეზონის სწორხაზოვანი კონფიგურაციის შენარჩუნებისთვის, მიზანშეწონილია გაუქმდეს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დარჩენილი მცირე ნაწილი №01.11.04.028.118 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და წყალსადენის ქუჩას შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩა №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.04.028.118) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01232581197-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის საკრებულოსთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.152.004) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

№01.20.01.152.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ტერიტორიის პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 20 სექტემბრის №01232631455 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ამასთან, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ხოლო, ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღების შემდგომ, სამშენებლოდ განვითარება შეიზღუდა, ვინაიდან ტერიტორიაზე გავრცელდა სატყეო ზონა, რომელიც წარმოადგენს არასამშენებლო ფუნქციურ ზონას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის საკრებულოსთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.152.004) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ სურგულაძე; სალომე კობალაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01232511413-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.175.003) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს მიერ მოთხოვნილია №01.20.01.175.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება, შემდგომში, პრივატიზების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 11 ოქტომბრის №012328485 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.175.003) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ სურგულაძე; სალომე კობალაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01232371670-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა №21ა-სა და სტალინის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.088.085; №01.20.01.088.107) მოთხოვნილია

სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება.

№01.20.01.088.085 და №01.20.01.088.107 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანია ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა, ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე უკვე დგას საცხოვრებელი სახლი. ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 2 სექტემბრის №012324548 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით №01.20.01.088.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.20.01.088.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) მოხსნა სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა №21ა-სა და სტალინის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.088.085; №01.20.01.088.107; №01.20.01.088.109) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა-3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ სურგულაძე; სალომე კობალაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01232823519-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ივანე მაჩაბლის ქუჩა №6-ში; უჩანეიშვილის ქუჩა №52-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.09.004.543) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ფუნქციური ზონის ცვლილებას/დაბრუნებას განიხილავს №01.14.08.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზეც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, 2023 წლის 11 ოქტომბრის №61-0123284108 წერილით, არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ №01.14.08.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, მოქმედი ფუნქციური ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონა, შეიცვალოს სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 11 ოქტომბრის №18-012328486 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, წარმოდგენილ არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ივანე მაჩაბლის ქუჩა №6-ში; უჩანეიშვილის ქუჩა №52-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.09.004.543) ნაწილზე, ასევე, №01.14.08.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01232632662-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, IIIა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.005.096) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორია სამშენებლოდ განვითარებულია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლებით და მასზე ძირითადი რუკის ზონირებით გავრცელებულია შესაბამისი ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), მიზანშეწონილია, ერთიანი ქალაქგეგმარებითი ხასიათის შენარჩუნებისთვის, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა განხილულ იქნას მიმდებარე არეალთან ერთად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 9 ოქტომბრის №18-01232823848 წერილი, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, №01.11.12.005.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე არეალზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენა (რზ-2) (ფართობი: 48 453 კვ.მ.).

ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება რჩება უცვლელად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, IIIა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.005.096) და მიმდებარე არეალზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№01232793639-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.009.934; №01.10.18.009.935) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 12 ოქტომბრის №01232851969 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 12 ოქტომბრის №01232852907 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე არსებული სატრანსპორტო ქვეზონის ნაწილის, მოთხოვნის შესაბამისად,

გაუქმება არ აისახება უარყოფითად განსახილველ ტერიტორიაზე ჯეროვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების/შენარჩუნების კუთხით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო საკადასტრო ერთეულების მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.009.934; №01.10.18.009.935) და ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ითა (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№01232823695-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა №38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.15.003.097) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

№01.14.15.003.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად გავრცელებული საცხოვრებელი ზონის დაბრუნება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 12 ოქტომბრის №01232851971 და 2023 წლის 11 ოქტომბრის №01232843381 წერილებით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (სატყეო ზონა).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა №38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.15.003.097) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ სურგულაძე; სალომე კობალაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ლ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი) - **№01232612478-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.23.021.073) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

№01.19.23.021.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შპს "სპორტმშენსერვისი"-ს მიერ ტანვარჯიშის სახეობების სპორტული დარბაზის მშენებლობა.

სპეციალური ზონა 1 (სპეცზ–1) წარმოადგენს სპეციალური ქვეზონას, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს.

დაგეგმილი მასშტაბური სპორტული კომპლექსის მშენებლობის მიზნით, საპროექტო ტერიტორიის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გათვალისწინებით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მცირე მონაკვეთი. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.23.021.073) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ისა

(სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „მ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-12 პუნქტი) - **№0123265917-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა №9-8 და №9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.001.407) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

№01.17.13.001.407 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 2 ოქტომბრის №0123275487 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-1) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა №9-8 და №9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.001.407) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ სურგულაძე; სალომე კობალაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ნ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-13 პუნქტი) - **№01232552739-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა, №1/3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.038.016) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხნა.

№01.10.13.038.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს უკვე არსებული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის ახალი ბლოკის მშენებლობა, სადაც, განთავსებული იქნება საცავები, სამკითხველო, მუზეუმი, სამუშაო სივრცეები და სხვა დანიშნულების ნაგებობები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 19 სექტემბრის №01232622938 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე, განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა, №1/3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.038.016) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ო“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-14 პუნქტი) - **№01232892416-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.216) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება.

სამრეწველო ზონა 2-ში (ს-2) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე, ნაგავსაყრელის ტერიტორიები

№01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სს „თბილპოლიმერი"-ს მიერ მეორადი ნედლეულის, კერძოდ - პლასტიკის ნარჩენების და მიღებული ნედლეულიდან სხვადასხვა დანიშნულების შესაფუთი პროდუქციის წარმოება. სს „თბილპოლიმერის" გეგმაა, გადაამუშაოს პლასტიკის ნარჩენები, შესაბამისად, აღნიშნულით შემცირდება როგორც პირველადი ნედლეულის გამოყენება, ასევე შეამცირებს ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას.

საპროექტო ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და სამშენებლო საქმისწარმოების გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილ იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილება დაგეგმილი სამუშაოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ასევე, №01.19.14.004.115; №01.19.14.004.343 რეგისტრაციებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, ასევე, №01.19.14.004.115; №01.19.14.004.343 რეგისტრაციებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და, აგრეთვე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

კომისიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ, კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით, ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.216; №01.19.14.004.115; №01.19.14.004.343) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე **ფუნქციური ზონის ცვლილება, ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით, გადადებულ იქნას.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „პ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-15 პუნქტი) - **№01232682024-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ზურაბ და

თეიმურაზ ზალდასტანაშვილების ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.089-ის ნაწილზე; №01.10.15.007.099; №01.10.15.007.057; №01.10.15.007.184) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად არსებულ გზაზე, მოასფალტებულ სივრცეზე ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანაშვილების ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.089-ის ნაწილზე; №01.10.15.007.099; №01.10.15.007.057; №01.10.15.007.184) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ სურგულაძე; სალომე კობალაძე)

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას** ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.14.004.216; №01.19.14.004.115; №01.19.14.004.343) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით

(ს-2) ცვლილებისა და, აგრეთვე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნის წინადადება (№01232892416-67 განცხადება).

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 18 ოქტომბრის №12-0323291128-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 14 წინადადება - №01232763851-67; №012327099-67; №01232704019-67; №01232581197-67; №01232511413-67; №01232371670-67; №01232823519-67; №01232632662-67; №01232793639-67; №01232823695-67; №01232612478-67; №0123265917-67; №01232552739-67; №01232682024-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 18 ოქტომბრის N11-0323291142-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხით გათვალისწინებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2023 წლის 18 ოქტომბრის N11-0323291142-03 წერილი) წარმოადგინა მომხსენებელმა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში

გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის №23.1584.1755 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №01232442809-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711568); №01232442830-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711566); №01231633137-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711224); №01232132238-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711219); №01231711595-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012327533129)).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ელი პუნქტი) - **№01232442809-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711568) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევ №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.06.022.007) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.10.06.022.007) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის №474 განკარგულება ადგენს საპროექტო ტერიტორიებზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევ №13-ში (საკადასტრო კოდით: №01.10.06.022.007) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01232442830-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711566) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევ №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.06.022.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.022.008; №01.10.06.022.007-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის №475 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

წარმოდგენილი სახით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოიქმნება ხარვეზი. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ), ხოლო, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევ №13-ში (საკადასტრო კოდი: 0№1.10.06.022.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, №01.10.06.001.139; №01.10.06.022.005; №01.10.06.022.004; №01.10.06.001.029; №01.10.06.001.030 და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ითა (სსზ-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონით (სსზ) ცვლილება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01231633137-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711224) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.16.08.005.117, №01.16.08.005.109; №01.16.08.006.110) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.16.08.005.117; №01.16.08.005.109;

№01.16.08.006.110) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2023 წლის 22 სექტემბრის №477 განკარგულება ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა, აღმოსავლეთით და დასავლეთით გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების გავრცელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.16.08.005.117, №01.16.08.005.109; №01.16.08.006.110) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, საპროექტო არეალს მიღმა აღმოსავლეთით და დასავლეთით გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების გავრცელება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2 (ვახტანგ სურგულაძე; სალომე კობალაძე)

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01232132238-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711219) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N3ა-სა და N1-ში არსებულ (საკადასტრო კოდები: №01.13.01.014.053; №01.13.01.014.003) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა №1; №3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.13.01.014.003; №01.13.01.014.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის №476 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

წარმოდგენილი სახით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოიქმნება ხარვეზი. აღნიშნული ხარვეზის

გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ) ზუსტდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა №3ა-სა და №1-ში მდებარე (საკადასტრო კოდები: №01.13.01.014.053; №01.13.01.014.003) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, საპროექტო არეალს მიღმა დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) დაზუსტება მისაღებია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01231711595-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012327533129) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №01.11.05.030.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №01.11.05.030.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის №472 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

წარმოდგენილი სახით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოიქმნება ხარვეზი. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №01.11.05.030.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, საპროექტო ტერიტორიის მიღმა - ჩრდილოეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

- **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2023 წლის 18 ოქტომბრის №11-0323291142-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01232442809-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711568); №01232442830-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711566); №01231633137-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711224); №01232132238-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-01232711219); №01231711595-67(სამსახურებრივი ბარათი: №16-012327533129)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ნიკოლოზ კახეთელიძე